# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1123

დამატების № 198

კვირა, 23 თებერვალი 1914 წ.




ხასოება.



წ. კ. გ. საზოგადოების ბაქოს ქართული სკოლა.

# მიმოზა

### 1 აპრილი.

ჩემო კარგო ზინა! ვეღარ იცნობ პატარა მიმოზას, გავიზარდე. ეხლა, როდესაც სასწავლებელში მივდივარ, აქეთ-იქიდან მესმის: რა საუცხოვო მოელვარე დიდრონი თვალები აქვს. ახოვანია, ვით ალვის ხე. რა მომჯადოებელი ღიმილი კრთის მის ვარდისფერ ტუჩებზე. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერებაა!

ყელს ვიღერებ ამაყად და მივდივარ თითქოს არც კი მესმოდეს მათი ხოტბა.

— გულს დავიწვავდი მის სამსხვერპლოზე.

— მთელ სხეულსაც ფერფლად ვაქცევდი, რომ მის ალერსს ვეღირსებოდე—მომესმა დღეს ორ გიმნაზიელისაგან ჩემო კარგო, შენც განგიცდია ასეთი რამ ან თუ გსმენია ამ გვარი რამ, ნუ თუ შეგეძლო იმ დღეს დამშვიდებული ყოფილიყავ? მასწავლებელი გაკვეთილს გვიხსნიდა... მომაგონდა ეს სიტყვები და სიცილი ამიტყდა. შენიშვნა მივიღე, უფრო გამეცინა. განრისხებულმა მასწავლებელმა ცარცი დაფას ახალა. საერთო სიცილი და ხმაურობაა. მასწავლებელი დაკოდილ მხეცივით გარბის კლასიდან. საშინელი ხმაურობაა.

შემოვიდა „უმფროსი ზედამხედველი“, დაიწყო დაუსრულებელი ჩლიფინი, გამორიცხვას დამემუქრა. ეჰ, თავი მომაბეზრა ამ მოხუცმა დედაკაცმა. რა კარგი იქნებოდა, მის ნაცვლად ახალგაზდა მამაკაცს რომ დანიშნავდნენ!..

საუცხოვო ღამეა... მთვარე ისე ამაყად სცურავს ღრუბლის ნაკვთებში, ვით გედი ტალღებთა შორის. ჩემს პირდაპირ მცხოვრებ ვაჟს უთუოდ დაუსწავლია გაკვეთილები, აივანზე გამოსულა და მღერის, მე კი ბედს მაწყევლინებს წყეული გაკვეთილები. ნახვამდის. იმედია ხმას მომაწვდენ.

შენი მიმოზა.

### 6 აპრილი.

ბაღში ვსეირნობდი. ბევრი ყმაწვილი გავიცან. ხელში ყვავილი მეჭირა. ერთმა ყმაწვილმა გამაგონა:

— რა მშვენიერი ყვავილია! ნეტავ მითავაზებდეს!

ყვავილი ძირს დავაგდე, ფეხით გავსრისე და უთხარ:

— ნებას გაძლევთ აიღოთ.

აიღო მტვერში ამოგანგლული ყვავილი და მადლობა მიძღვნა. მოდი და ნუ გაგეცინება. მეტად გავერთე სეირნობით. უკანასკნელმა დავტოვე ბაღი. ერთს ვაჟს ნება დავრთე გავეცილებინე სახლამდის. ნელა მივდიოდით. ის კი მაინც უკან რჩებოდა. არა ჰსურდა მალე მივსულიყავით სახლამდის, სადაც იძულებული იყო დამშორებოდა. ერთი მთვრალი გადაგვეღობა წინ ფეხზე. ძლივს დგებოდა.

— ჰო, ორი მტრედი მოღუღუნებს! რა კარგები არიან.

— რას მიჰქარავ, მხეცო!

— ბარიშნა! რა მშვენიერი ხარ, შენ გენაცვ... ჩემმა თანამგზავრმა აღარ აცალა, ხელი ჰკრა და თავხედი ლოთი ქვა ფენილზე განერთხო. გულწრფელი მადლობა გადაუხადე მას დაშორების ჟამს, მაგრამ ეს კი უგუნურება იყო. განა ამ ვაჟსაც იგივე გრძნობა არ უღვივებს გულს, რაც იმ ლოთმა წამოიძახა?

P. S. ამ საღამოს „თეატრში“ მივდივარ. ნეტავ იცოდე, რა აღტაცებით მომაჩერდებიან...

### 13 აპრილი.

დიდ სულიერ აღშფოთებას განვიცდი. ზინა! რა რიგ შეურაცხყვეს ჩემი თავმოყვარეობა. ვერ დავმშვიდდი, რაღაც მარჩობს, გულს მიღრღნის. არ გებრალები? საზიზღრები! ფლორა ჩემზე მშვენივრად მიაჩნიათ, ფლორა, ეს საზიზღარ არსება!

— მიმოზა! მიმოზა! რას აგიჩემებიათ, განა ფლორა უფრო მშვენიერი არ არის? მშვენიერი და გულ-კეთილი, მიმოზა კი ამაყი და შეუბრალებელია.

— ეჰ, მეგობარო, განა შეიძლება მშვენიერება გულ-კეთილი იყვეს? კარგად ჩააცქერდი მიმოზას ცის-ფერ თვალებს და ვნახოთ რას იტყვი.

— ფლორა ყოვლისფრით სჯობობს მიმოზას. ასე მსჯელობდნენ გიმნაზიაში მოსწავლე ვაჟები, როდესაც ვერ მამჩნევდნენ მე; და მრავალთა შორის მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ჩემი დამცველი. იცი ვინ არის ფლორა? უშნო, ბეჭებში მოხრილი, თმა ალის ფერი აქვს და თვალები ჭრელი, ჯოჯოხეთური. ნეტავ რატომ ვერ ამჩნევენ მის ნაკლულევანებას?

არა! ფლორა ლამაზია, თეთრი, მე კი შავი. რად ვიამაყო, ფლორა მშვენიერია, ფლორა გულ-კეთილია, მე ბოროტი!

ფლორა! საზიზღარი ფლორა! რისათვის მოსწონთ? განა სიხელინას სახის გამომეტყველება უფრო მიმზიდველი არ არის. საუცხოვოა ფერმკრთალი სიხელინა, განვითარებული და გულკეთილი. ფლორა ყველასთან ხელი-ხელ გაყრილი სეირნობს და ნუ თუ ამიტომ მოსწონთ? არა! მითხარ გეთაყვა, რომელს აქვს ჩემებრ ბროლივით თეთრი კბილები, მთრთოლვარე მკერდი? ფლორა ვგონებ კოჭლიც არის, სიხელინას ვგონებ თვალთ აკლია, ბეცია, თავს ძლიერ ჰხრის კითხვის დროს.

ოხ! მოთმინების ძალა სწყდება... ყოველგვარ საშუალებას ვიხმარ ფლორას დასამარცხებლად.

P. S. რა ვიღონო, სწორედ არ ვიცი. ვიცქირები სარკეში, რომ დავრწმუნდე, მშვენიერი ვარ თუ არა. ვაპატიებ ფლორას; მე სულგრძელი ვარ. დამერწმუნე კი, ადამიანის ცხოვრება საუცხოვო პოეზია იქნებოდა, რომ მოთმინების უნარი არა ჰქონდეს.

### 18 აპრილი.

დარიგებას თავი დაანებე. განა არ იცი, არას დროს არ ვიქნები გონიერი ქალი? დედ ვიყვე „კოკეტკა“, ვიყვე „ზეტე-



კახეთის რკინის გზა. ხიდი იორზე.

რა“ მიყვარს ჩემი ნაკლულევანება, და ამ სიყვარულში ვაქსოვ ჩემს ბედნიერებას.

მიყვარდის ყველანი? ფლორა(ც? მაშ სიძულვილი რისთვის არსებობს? მხოლოდ სიხელინას წინააღმდეგ გავილაშქრე წინა წერილში უსამართლოდ, საბრალოა ეს გონიერი ქალი. მისი ძმები ცივ ქვეყნებში არიან გადასახლებულნი, მისი გულის სატრფოც, როგორც გავიგე, საპატიმროშიზის. უსაზღვრო სევდა მიპყრობს, როდესაც სიხელინას ბედს ვითვალისწინებ. მიყვარს და მებრალება სიხელინა. სიყვარული და სიბრალული განა მეგობრები არ არიან? საბრალო სიხელინა! ღიმილი არას დროს არ უსხივოსნებს სევდიან სახეს. ბევრი სცდილობს მის ალერსის ბაღში ყვავილის მოწყვეტა'ს, მაგრამ ამაოდ.

კიდევ ახალი ამბავი. მგოსანი, სახელად სერიმაგდონ გავიცან, შემდეგ წერილი მომწერა და ისეთი აღფრთოვანებით მიცხადებდა. სიყვარულს, ვიფიქრე დამსწვავს ალერსის ცეცხლში მეთქი, მეც თანაუგრძენ, მაგრამ ვერ ისარგებლა! საუცხოვო ლექსიც მიძღვნა, ასე რომ მუზათა ღმერთიც შევიქენ. მაგრამ სამწუხაროდ მეტად მორცხვი და მშიშარა ყმაწვილია. როდესაც დანიშნულ დროს მოვიდა პაემანზე, მთელი საათი ხმა ამოუღებლივ იდგა ჩემს წინ, თვალები თითქოს ცრემლებით ევსებოდა. გავიფიქრე იტირებს მეთქი და გაქცევა დაპირე. გამომშვიდობებისას გრძნობით შეამბორა ხელზე, გამეცანა და უთხარ:

— ნუ თუ მგოსნებს ჩვეულებად აქვთ ხელზე ეამბორონ ახალგაზრდა ასულთ?

პასუხი ვერ მომცა… მკერდი გაუშვირე, ვანიშნე უფლებას გაძლევ თავი მოაყრდნო ჩემს მკერდს მეთქი, მაგრამ ვერ მიხვდა უკუნური!

აწ სალამსაც არ ვაღირსებ, მან სამუდამოდ დაჰკარგა მშვენიერი მიმოზა. რამდენიც ჰსურს სწეროს ლექსები, უგალობოს ცის საკურთხეველს, მე სიხელინა არა ვარ ოცნების ფრთებით ზეაღმაფრენი, რომელიც სიყვარულს განუხორციელებელ გრძნობაში ეძებს.

### 5 მაისი.

სალამი შენდა, უდაბნოს ქალო!

როდესაც განთიადი ამობრწყინდება და ნისლს გაჰფანტავს მთის მწვერვალზე ცელქი ნიავი, როდესაც გაიშლება დროშა გრძნობისა და სიყვარულისა, ამ დროს რომ შეუმჩნევლად შემოიხედოს შენს ოთახში მიმოზამ, მოესმება წრფელი კოცნა? არ ეხვევი შენს მეუღლეს, ვით სურო ხის გარშემო? რომლისთვისაც დასტოვე ქალაქი და გაჰყევ შორს უდაბნოში საცხოვრებლად. რომელი მალე იქანცებით ალერსში? ბედმა დამცინა, მოუხეშავი მონა არგუნა ჩემს გულის ვნებას, სერემაგდოს არ ჰქონდა ალერსის გემოვნება და ამიტომ იცი, ვინ შემიყვარდა ეხლა? და შეგიძლია წარმოიდგინო, რა ღრმა უფსკრულია ამ სიყვარულის წინ? წელს „ფიზიოლოგიის“ მასწავლებლად ახალგაზრდა გვყავს, სამწუხაროდ ცოლიანია. მეტად მეჯავრება ეს მკვდარი საგანი, არ მსურს ვიცოდე როგორი ჩონჩხები აქვს ცხოველებს, რა განუსაზღვრელი სიძახინჯე იფარვის ადამიანთა გარეგნულ მშვენიერებაში, და თუ ბეჯითად ვსწავლობ ამ საგანს, იმიტომ რომ ახალგაზრდა კაცის ყურადღება დავიმსახურო. ყველას მოგვწონს და გვიყვარს არკადი ლვოვიჩი და მის ყურადღების დამსახურებას ვცდილობთ.



კახეთის რკინის გზა. ხიდი იორზე.

დედა, იყვეს სიყვარულის ძაფი გაწყვეტილი, განა არ შე-

იძლება მისი გადანასკვა? არკადი ლვოვიჩი ხშირად გვაძლევს თხზულებას დასაწერად რასაკვირველია ამ დროს სიხელინას ვერვინ შეეჯიბრება. აი, რა ჩავიდინე ნაცვლად თხზულების დაწერისა, სიყვარულის განცხადება დავწერე. სასტიკი შენიშვნა მივიღე, დიდად გამიჯავრდა. კიდევ კარგი, არავის გაუმხილა შინაარსი. ეხლა სულ აღარ იცქირება ჩემსკენ. ოხ, რა ვქნა, რა! რა ბოროტმა ვნებამ გაიღვიძა ჩემს სულში მას შემდეგ, რაც მეთექვსმეტე წელში გადმოვდგი ფეხი. მანამდე სრულიად უცნობი იყო ჩემთვის ეს გრძნობა ლტოლვა, ეხლა კი ყოველგვარ საზღვარს ვცილდები. რად უარყო ჩემი სიყვარული? რადგან ცოლიანია? განა მე მის ოჯახის მყუდროებას დავარღვევ? მე მხოლოდ ალერსი მწყურიან, გისმის? და განა მის არსებაში ისეთი ნაკლულევანებაა ამ საუნჯისა, ორ დედაკაცს არ გვეყოს? ერთს შესწიროს მთელი გრძნობა და სხვას არასფერი გაუზიაროს? განა ესეთი სიძუნწე შესაწყნარებელია ამ განათლებულ კაცისაგან!?..

## 10 მაისი.

დიახ! მართლაც, თავხედი ბავშვი ვარ, მაგრამ ნულარ შიშობ ჩემთვის, ყოველივე აღსრულდა. ან როგორ გავბედე ყოველივე ეს? პირდაპირ ბინაზე მივედ „არკადი ლვოვიჩთან". ვერ წარმოიდგენ, როგორ გაფითრდა.

— არკადი ლვოვიჩ! მე არა ვარ დამნაშავე! რა ვქნა, შემიყვარდით.

— უგნურო ბავშვო! არ იცი, რომ ცოლი მყავს.

— მე მხოლოდ ალერსი მწყურიან თქვენი და არა ცოლობა.—ვუპასუხე და ყელზე მოვეხვიე. ვაკოცე მკრთალ ტუჩებში და ამ დროს შემოგვასწრო მისმა მეუღლემ.

ამის შემდეგ აღარ მოსულა სასწავლებელში, გავიგეთ თავს ანებებს სამსახურს.

მე დიდად არ დაულონებივარ ამ მოვლენას; დროც არა მაქვს დაუფიქრდე ჩემს მოქმედებას. მალე ვიპოვე თავის გასართობი საგანი. ეხლა ერთი „აფიცერი" დამიახლოვდა, სცდილობს დაფაროს რომ ცოლიანია და, დამინახავს თუ არა, მარჯვენა თითიდან ბეჭედს იძრობს და ჰმალავს, ხა! ხა! ხა! რად მეპყრობი ზინა მკაცრად? რად მაძლევ ესეთ დარიგებას? რა გენაღვლება გავერთო? არას დროს არ გავთხოვდები, თუ ეგეთი გონიერება და წინ დახედულება დამჩემდა. დიდად მიკვირს შენი გარდაქმნა. ცხოვრება განა სიამოვნებისათვის არა გვაქვს მონიჭებული? ნახვამდის! ვეცდები გონიერება მოვიხვეჭო, თუ დიდ საჭიროებად მიგაჩნია ამ მძიმე უღლის ზიდვა.

## 17 მაისი.

საუცხოვოა შენი ბუნების აღწერა. არ გეწინააღმდეგები, ცხოველმყოფელი ბუნება მომხიბლავ ფერადებად ეშლება თვალწინ სოფლად მცხოვრებს, მაგრამ არც ქალაქში მცხოვრებნი ვართ მოკლებული მშვენიერ სურათებს, ჩვენც მოგვეპოება პოეზია და უფრო ცხოველი და არა ერთფეროვნებით მოსაწყენი. დილის როგორც ავდექ, თმა გაწეწილი და მკერდ გაღეღილი, იმ წუთსვე გავაღე ფანჯარა და თვალ-ყურს ვადევნებდი გამოცოცხლებულ ქუჩას. მარჯვნივ გამოჩნდა პატარა ბავშვი, დაფლეთილ ტანთსაცმელში გამოხვეული, ფეხებზე დიდი წაღები ეცვა და ჯარის კაცივით მოხრაგუნობდა ქვაფენილზე და თან მღეროდა.

„კუსკიმ კუსკიმ ობლაკ იდოტ ვისოკ ნებესა, ზაპეჩატან პისმა ნესოტ ოტ ლუბოვნიცა... ოტ ლუბოვნიცა".

გამოჩნდა კინტოც. მაგნოლიით სავსე თაბახი დაედო თავზე და დინჯად მოდიოდა. ჩემს ფანჯრის წინ დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

— ტუტუც! რას ღრიალებ, დაგავიწყდა დედა-ენა.

— ჩაიარე! ჩაიარე!

— ერთი დახე? ვა ემის მადმა თავს გაგიხეთქამს—და თითონ დაიწყო:

„ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელ მოდის მაღლა ციდამააა!—უეცრივ შესწყვიტა და იწყო ძახილი! მაგნოლია! მაგნოლია!

მითხარ, ამის მზგავს რასმე ნახავ სოფლად? დილით მხოლოდ პირუტყვთა ბღავილი და ქათმების კაკანი დაგიხშობს სმენას! მებრალები, რომ იძულებული ხარ ყრუ სოფელში იცხოვრო.

## 22 მაისი.

თუ სევდა გმონებს, მეტად ტკბილ წამალს გამოგიწერ, მხოლოდ სიცილით არ შეგიღონდეს გული, კარგად იცი წიგნების კითხვის მოტრფიალე არა ვარ, როგორც სიხელინა; მაგრამ როგორღაც ხელში ჩამივარდა „დეკამერონი". ცუდი ამინდია, ქარი ღმუის, ზუზუნებს... წამოწოლილი ვარ და ოცნება მიმონებს. სევდა მეხვევა... ვიღებ „დეკამერონს" და იცი, რას ვკითხულობ? „ეშმაკი ჯოჯოხეთში". გაჰქრა სევდა, ვიცინი თავდავიწყებით, ნეტავ შემეძლოს ავისხა ფრთები, მოვფრინდე შენთან და წაგიკითხო. ხა! ხა! ხა! ჩუმად გეტყვი, შენ და შენი მეუღლეც... რა საუცხოვო ნოველებია, რომელი ერთი დაგისახელო? აი, თუნდაც „ფიოზოლელი ხუცესი". ქვრივი დედაკაცები ყოველთვის უგუნურ ქორიკანებათ მყავდა წარმოდგენილი, მაგრამ დახე „პიკარდას"? საწყალი მახინჯი „ჩუტაცა", ალერსი სწყურიან, რა ქნას რომ მახინჯია? გამოცდილი ყოფილხარ, ზინა! მართლა, მაცდურნი ყოფილან მამაკაცები. ნეტავ წაგაკითხა „მონასტრის მებაღე". საბრალო მონაზონი ქალები! რა უფლებით ეუბნებოდა გამლეტი ოფელიას; „წადი მონასტერშიო". ოჰ, მაზეტო! მაზეტო! მე შეყვარებული ვარ ამ ჟამად, მიყვარს ბოკაჩიო. ამაღამ. მხოლოდ მაზე ვოცნებობ, და თუ მისი ძვლები კიდევ არსებობს მიწის წიაღში გამხიარულდნენ, რომ უყვარს იგი მშვენიერ მიმოზას.

## 30 მაისი.

სიხელინასთან ვიყავი, მისი სატრფო გაანთავისუფლეს და პატარა ნადიმი გადიხადა. მეტად მხიარული შეკრებილება იყო. ყველა მწერლები ჰყავდა მოპატიჟებული. მხოლოდ ერთი ყმაწვილი არ ღებულობდა მონაწილეობას საერთო მხიარულებაში. მრისხანედ უცქერდა ჩვენს მოქმედებას. უდარდელმა ხითხითმა მოთმინებაც დაუკარგა, აიღო ქუდი, წასასვლელად მოემზადა და სთქვა:

— საუკეთესო ხალხის შვილებს წამების ჯვარს აზიდვინებენ, ტყვიით უგმირავენ გულს, დედასა პირმშოს სტაცებენ, ბნელს ციხეში, ბნელს მაღაროებში სჭკნებიან საუკეთესო ყვავილნი, თქვენ კი ხითხითებთ. განა არ გესმით ოხვრა მწუხარე სულთა? თქვენ მგოსნებო, ვის უგალობთ, ვის? მშვენიერებას? ოდესმე გინუგეშებიათ ტანჯული მოძმე? ოდესმე შეგბრალებიათ უსამართლოდ გულგანგმირულნი?—წავიდა და სწორედ მესიამოვნა, უხერხულად ვგრძნობდი თავს, ვიდრე ის ჩვენთან იყო.

სხვა მხრივ, როგორ სცხოვრობ? როგორ იშვიათად მწერ წერილს. ჩემი ბიძა მეუღლიანად უკვე დაბრუნებულან საზღვარ გარეთიდან, სჩანს ძია განიკურნა სნეულებიდან... ვიდრე „ეგზამენები" გაგვითავდებოდეს, ისინიც ჩამოვლენ და წავალთ აგარაკზე. მომბეზრდა სწავლა.

## 24 ივნისი.

საუცხოვო მდებარეობა აქვს ჩვენს აგარაკს, ირგვლივ გორაკებით არის შემოზღუდული და მოფენილია სურნელოვან ყვავილებით. მთიდანვე მონავარდობენ ცელქი ნაკადნი. შორით მოსჩანს მოქვიშრული კლდეები. ჩვენს ბაღს იქეთ საუცხოვო ჩანჩქერია. დილის მზის სხივნი ათასგვარად აბრწყინვებენ მაღლობიდან მსრბოლ ზვირთებს. ყოველ დილით ვბანაობ ამ ჩანჩქერის ძირში, საუცხოვო რამა ვარ შიშველი, როდესაც გაპენტილ ბამბასავით თეთრ მკერდს, ზვირთები ეალერსება და გაშლილ თმას აქეთ-იქით მიაცურებს. არ ვფიქრობ, თვით ვენერა შემედაროს ამ დროს მშვენიერებაში. მრავალი სიმღერები გამოიგონეს ჩემზე სოფლის ბიჭებმა, გაგიჟებით მომცქერიან შიშველ გულ-მკერდზე, ამიტომ ყოველთვის „დეკოლტეს" ვიცვამ, რათა უფრო აუღვრიო მნახველს გონება. პირველ ყოფილ სილამაზეს ფლობენ სოფლის ასულნი, ბევრი არ ჩამომივარდება ახოვანებაში, როდესაც შინაურად, უბრალოდ არიან ჩაცმულნი, მაგრამ როდესაც სადღესასწაულოდ გამოეწყობიან, მათზე სასაცილო არა არის რა. ულაზათოდ შეკერილი ტანთსაცმელი სულ აუშნოებს მათ სხეულს. გასართობად სოფლის მასწავლებელი მყავს, სასაცილო რამ არის და ტანთსაცმელიც სასაცილო აქვს. შარვლის ტოტები წვივებამდის ძლივს უწევს, ფეხზე უხსოვარ დროიდან გაუწმედელი ფეხსაცმელები აცვია, ქუდი მეტის-მეტად გახუნებული ხურავს, ამ პაპანაქება სიცხეში, სულ დაძველებული პალტო აცვია, თურმე იმიტომ, რომ შარვალი სულ დაფლეთილი ჰქონია. ფოლაქები ისე დაჰჟანგვია, რომ ვერ გაარჩევ, რა ფერის არის. ვერთობი ამ ორიგინალურ არსებით, სასაცილო, დამახინჯებულ კილოთი იცის რუსული ენა და რა ეს შევამჩნიე, სულ რუსულად ვეტიტინები, რათა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო. მებრალვის, მაგრამ მეტად მამხიარულებს მისი შეხვედრა. სირცხვილით წითლდება და მთელი სხეულით თრთის.

(დასასრული იქნება).

მიხ. ბოჭორიშვილი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".
რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.